გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2019-2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების 2020 წლის დახმარების პროგრამა.
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

2. **თემატიკა: მუნიციპალური სოციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისთვის.**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება ჩამონათალის მიხედვით)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
აკაკი ქურციკიძე - ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ტელ. 599154351; kurtsikidzeakaki@gmail.com.
(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

მოგეხსენებათ, ქვეყანაში არაერთი სოციალურად მძიმე პირობებში მყოფი ოჯახია და გამონაკლისი არც თერჯოლის მუნიციპალიტეტი გახლავთ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძირითადი საზრუნავია სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამების ამოქმედება, რომლებიც გარკვეულწილად გააუმჯობესებს მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობას.

სოციალურად მძიმე პირობებში მყოფი მოქალაქეების უმეტესი ნაწილის საცხოვრებელი სახლები საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება დემონტაჟს. წინა წლებში არსებული პროგრამა ითვალისწინებდა სამშენებლო მასალებით ან ფულად დახმარებას, რაც არ იყო ეფექტური პრობლემის სრულყოფილად გადასაწყვეტად.

2020 წლის პროგრამა ითვალისწინებს დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს. პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა სამი სოციალურად დაუცველი ოჯახი, შესაბამისად, აშენდა 3 (სამი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (სოფ. ჩხარი, გოგნი, ქვ.სიმონეთი), მთლიანი ღირებულებით 108 679 ლარი.

5. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

თერჯოლის მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება და ესაზღვრება ტყიბულის, ზესტაფონის, ბაღდათის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტები. თერჯოლის მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი -

თერჯოლა და 18 სოფელი, მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 198 კმ.-ია, უახლოეს აეროპორტამდე - 50 კმ, ხოლო უახლოეს რკინიგზის სადგურამდე - 14კმ-ია;
ტერიტორია 357კვ.კმ.; მოსახლეობა 35 563 (2014 წლის მონაცემებით). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: ყვირილა, ჩოლაბური, ძევრულა, წყალწითელა და სხვები. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ქალცედონი კირქვა, სპონგოლითი (ნახშირღელე), მარმარილო (კვახჭირი), საკრამიტე და სააგურე თიხა, ეკლარი და სხვა.
მოსახლეობის რიცხოვნობა 35 563 კაცი (2014); მუნიციპალიტეტში 46 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 45 სოფელი. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, მუნიციპალიტეტის ტერიტორია თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიას მიეკუთვნება. მოქმედებს 10-ზე მეტი ტაძარი.
ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა - მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მარცვლეული კულტურების (სიმინდი) მოყვანა და მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ჰიდროელექტროსადგური „ძევრულაჰესი".
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის მაგისტრალი სამტრედია-ხაშურის ხაზზე. არის რკინიგზის სადგური სოფელ კვახჭირში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საქართველოს საავტომობილო ავტომაგისტრალი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: თერჯოლა-ტყიბული და ქუთაისი-ვარციხე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებია: სკანდეს ციხე, ბერციხე, ნავენახევის მღვიმე, ჩხარის ეკლესია. გოდოგნის ეკლესია, თუზის ეკლესია, ღვანკითის დედაღვთისა.

ასევე, აღსანიშნავია ჩიხორისა და ჩხარის შუა საუკუნეების ნაქალაქარების ნაშთები, ეკლესია ქვედა სიმონეთში,ციხეები ძევრსა და ჭალასთავში, ხიდი ნაგარევში.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს პროგრამის განხორციელებაზე)

- **შიდა ფაქტორები** - პროექტს გააჩნია ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი მხარდაჭერა.
- **გარეშე ფაქტორები** - ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა, მძიმე დემოგრაფიული მონაცემები და გაზრდილი მიგრაცია წარმოქმნის მძიმე ეკონიომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის სხვადასხვა სერვისის მიწოდების საჭიროებებს.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა**:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**

1. ზოგადი მონაცემების შეგროვება მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურად მძიმე პირობებში მყოფი ოჯახების შესახებ.
2. სამიზნე ჯგუფის დადგენა.
3. ბიუჯეტის განსაზღვრა.

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის N 46 6 განკარგულება.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის** (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური. კომისიის წევრები.

8. **მიღწეული შედეგი:**
   პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა სამი სოციალურად დაუცველი ოჯახი, შესაბამისად, აშენდა 3 (სამი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
   (დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

9. **საკრებულოს როლი:**

პროექტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები, პროგრამა განხილული იქნა საკრებულოს კომისიებსა და ბიუროს სხდომებზე, შესაბამისად დამტკიცდა წარდგენილი პროგრამა, ამასთანავე საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსის პროექტის შერჩევაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს თავმჯდომარე და კომისიის თავმჯდომარეები.

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს 2021 წელშიც გააგრძელოს აღნიშნული პროგრამის მოქმედება, გაზრდილი ბიუჯეტით და გათვალისწინებულია დაახლოებით 5 (ხუთი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
   (აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

   თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გოდერძი თურქაძე - ტელ:555503110;
   ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი დიანა ფოცხვერაშვილი - ტელ: 599761635.

12. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

- **თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის N 46 6 განკარგულება.**